შეთანხმების ფურცელი

„ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში
ცვლილება ნომერ ხუთზე

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	„სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. ამასთან, შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტი, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად საჭიროებს რატიფიკაციას."	იქნება გათვალისწინებული
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	„ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ცვლილების საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ" ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.4 პუნქტის თანახმად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები, რომლებიც გაფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აქვე, აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2010 წლის 12 მარტის №2779-Iს დადგენილებით. შესაბამისად, „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ" ხელშეკრულებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, აღნიშნული ცვლილება, მისი სავალდებულოდ აღიარებისათვის, ასევე საჭიროებს საქართველოს პარლამენტის რატიფიკაციას."	იქნება გათვალისწინებული
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ეროვნული ბანკი	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა	შენიშვნები არ გააჩნია	